

## Food Wave მხარს უჭერს თექვსმეტი (16) პროექტის იდეას, რომელსაც ხელმძღვანელობენ მუნიციპალიტეტები და რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ახალგაზრდები მთელ ევროპაში!

*ინიციატივების წარდგენა, ქსელი*

თექვსმეტი (16) პროექტი შეირჩა მდგრადი სურსათის წარმოებისა და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის მიზნით, რომლებიც მიმართულია მუნიციპალიტეტებისა და ქალაქებისთვის!

The *Food Wave* – *ურბანული ახალგაზრდების გაძლიერება კლიმატის ცვლილებებისთვის* არის პროექტი, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკომისიის მიერ განვითარების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამის ფარგლებში. პროექტს მხარს უჭერს მილანის მუნიციპალიტეტი 29 პარტნიორთან ერთად 17 ქვეყანაში. მისი მიზანია კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის საკვების მოხმარებისა და წარმოების მდგრადი გზების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.

Food Wave-ის იდეების კონკურსს კოორდინაციას უწევს [ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია \(ALDA\)](#) პროექტის პარტნიორებთან და [მილანის ურბანული სასურსათო პოლიტიკის პაქტთან \(MUFPP\)](#) თანამშრომლობით. კონკურსი მიზნად ისახავს მცირე ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვას ქმედებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი ურბანული კვების სისტემების შექმნას. იგი დააფინანსებს შერჩეულ წინადადებებს 3,750 ევრომდე, უშუალოდ ჩართულ ახალგაზრდებს - 15-დან 35 წლამდე - ევროკავშირის ცხრა ქვეყანაში.

ძირითადი თემები, რომლებსაც დაფინანსებული წინადადებები შეეხება არის: მდგრადი დიეტა პლანეტაზე ზემოქმედების შესამცირებლად და ადამიანის უფლებების დასაცავად, საკვების ნარჩენებთან ბრძოლა, მდგრადი საკვების შესახებ ცოდნის გაზიარება/გავრცელება, ადგილობრივი ალტერნატიული კვების სისტემები, ადგილობრივი მწარმოებელი და ტერიტორიული ბაზარი, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა და ჯანსაღი, მდგრადი საკვების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

ძირითადი აქტივობები, რომლებსაც მუნიციპალიტეტები განახორციელებენ, მოიცავს, კომუნიკაციას, კარგი პრაქტიკის პოპულარიზაციას, კულინარიის სემინარებს, თემატურ ვიზიტებს, ფლემ მობებს, ცნობიერების ამაღლების საჯარო ღონისძიებებს, ინიციატივებს სკოლებში, ხელოვნების კონკურსებს და ინიციატივებს საკვების ნარჩენების წინააღმდეგ.

**თექვსმეტი (16) პროექტი შეირჩა მდგრადი სურსათის წარმოებისა და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის მიზნით, რომლებიც მიმართულია მუნიციპალიტეტებისა და ქალაქებისთვის !**

წელს, Food Wave-ის წინადადებებისა და იდეების მიღება განხორციელდა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი ჩატარდა მარტში და შერჩეული იქნა ათი (10) პროექტი ევროკავშირის ხუთ(5) ქვეყანაში (ბელგია, იტალია, სლოვენია, უნგრეთი და ნიდერლანდები). საპროექტო იდეები უკავშირდებოდა განსაკუთრებით მდგრად დიეტას, საკვების ნარჩენებს, მდგრად კვებას, თანაბარ შესაძლებლობებს ჯანსაღი საკვების ხელმისაწვდომობისთვის.

მეორე ეტაპი ივნისში ჩატარდა. ევროკავშირის ექვს (6) ქვეყანაში (იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, პორტუგალია და ესპანეთი) ექვსი პროექტი შეირჩა, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული იყო მდგრადი პრაქტიკის, ადგილობრივი ალტერნატიული კვების სისტემებისა და ცოდნის გაზიარებაზე. მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართული იქნება დაინტერესებული მხარეების დიდი რაოდენობა - უნივერსიტეტებიდან და ადგილობრივი სკოლებიდან დაწყებული ასოციაციებით და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებით დამთავრებული, 8000-ზე მეტი ახალგაზრდა იქნება მობილიზებული თავიანთ ადგილობრივ თემებში.

შერჩეული განმცხადებლების მიერ საჯარო, კერძო და ერთობლივი ქმედებების განხორციელებით, პროექტი ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG)- ადგილობრივ დონეზე განხორციელებას და გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის სისრულეში მოყვანას. განსაკუთრებით აქცენტი გაკეთდება შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაზე (SDG 2), ეკონომიკური ზრდისა და ღირსეულ სამუშაოზე და ეკონომიკურ ზრდაზე (SDG 8), მდგრად მოხმარებასა და წარმოებაზე (SDG 12), მდგრადი ქალაქებისა და დასახლებების მშენებლობაზე (SDG 11) და კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებებზე (SDG 13).

წელს, პირველ ეტაპზე პროექტი განხორციელდება შემდეგ შერჩეულ ქალაქებში:

დასახელება	ქვეყანა და ტერიტორია, სადაც პროექტი განხორციელდება
ქალაქი შაერბეკი	ბელგია – შაერბეკი
ქალაქი ტრენტო	იტალია-ტრენტო
ქალაქი პურმერენდი	ნიდერლანდები – პურმერენდი
ბუდაპეშტის მე-7 ოლქის მუნიციპალიტეტი	უნგრეთი - ბუდაპეშტის ტერიტორია
ქალაქი სზოზი	უნგრეთი-სზოზი
ქალაქი ბენედიქტი	სლოვენია-ბენედიქტი
ქალაქი რაზკრიჟე	სლოვენია-რაზკრიჟე
ქალაქი ეტერბეკი	ბელგია – ეტერბეკი
ქალაქი კუნგოტა	სლოვენია – კუნგოტა
ქალაქი ჰაჯდინა	სლოვენია-ჰაჯდინა

წელს, მეორე ეტაპზე პროექტი განხორციელდება შემდეგ შერჩეული ქალაქებში:

ქალაქი ვიმიანცო	ესპანეთი-ვიმიანცო
ქალაქი ობუდა-ბეკასმეგიერი, ბუდაპეშტის III ოლქი	უნგრეთი - ბუდაპეშტის ტერიტორია
ქალაქი პოლიკა	იტალია-პოლიკა
ქალაქი კამპოლიდი	პორტუგალია – კამპოლიდი
ქალაქი პალაიო ფალირო	საბერძნეთი-პალაიო ფალირო

ქალაქი ფლუქ ლერმიტაჟი

საფრანგეთი- ფლუქ ლერმიტაჟი